25/08/2026

# ნიგერიაში ისლამისტებმა თავდასხმისას 24 ქრისტიანი მოკლეს

18 აგვისტოს ნიგერიის პლატოს შტატში, ქრისტიანულ დასახლებაზე ღამით თავდასხმისას სულ მცირე 24 ადამიანი დაიღუპა, სამმა კი დაზიანებები მიიღო. ამის შესახებ International Christian Concern (ICC) იუწყება.

თავდასხმის მსხვერპლთა დაკრძალვა იმავე დღეს გაიმართა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავდასხმის ფაქტი დაადასტურა და მკვლელობები დაგმო. გუბერნატორმა გასცა განკარგულება იმ რაიონებში პატრულირებისა და მეთვალყურეობის გაძლიერების შესახებ, სადაც ახალი თავდასხმების საფრთხე ნარჩუნდება. ამასთან, სამართალდამცავ ორგანოებს დამნაშავეები ოფიციალურად ჯერ არ დაუსახელებიათ.

ადგილობრივი ქრისტიანული თემის წარმომადგენლის განცხადებით, მასობრივ მკვლელობას წინ სხვა თავდასხმები უძღოდა. შეიარაღებული ჯგუფები ცეცხლს უკიდებდნენ საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო ნაგებობებს, ანადგურებდნენ მოსავალს და თავს ესხმოდნენ მცხოვრებლებს.

რეგიონის ქრისტიანები მიმდინარე ძალადობას მათთვის მიწების წართმევის მცდელობებს უკავშირებენ. თემის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას მოსახლეობის დაცვის გაძლიერებისა და თავდასხმების ორგანიზატორებისა თუ მონაწილეების პასუხისგებაში მიცემისკენ მოუწოდეს.

sazu.ge